ასლი

სსიპ
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი
25.05.2009№ 50
თბილისი

2009/10 სასწავლო წელს სტუ-ს
დოქტორანტურაში ჩარიცხვისა
და სწავლის დაწყების შესახებ

1. სტუ-ს დოქტორანტურაში სწავლების პირველი წლის პირველი სემესტრი დაიწყოს 2009/10 სასწავლო წლიდან, სხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებთან (უმაღლესი პროფესიული, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) ერთად.
2. გაგრძელდეს სტუ-ს დოქტორანტურაში სწავლების პირველ წელზე ჩარიცხვის მსურველთა განცხადებების მიღება გამოცხადებულ პროგრამებზე,
3. სტუ-ს დოქტორანტურაში სწავლების პირველ წელზე ჩარიცხვის მსურველთა განცხადებების მიღება შეწყდეს 2009 წლის 7 სექტემბერს 17 საათზე.
4. სტუ-ს დოქტორანტურის სწავლების პირველ წელზე ჩარიცხვა მოხდეს სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №5-ისა "დოქტორანტურის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს დებულება" და სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №12-ის "სადოქტორო პროგრამებზე კონკურსანტების ჩარიცხვის ინსტრუქცია" შესაბამისად. ჩარიცხვის პროცესი დასრულდეს 2009 წლის 15 სექტემბერს.
5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 2009 წლის 12 მარტის №29 ბრძანების პუნქტი 1 და 2.
6. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, გამოიკრას ადმინისტრაციულ კორპუსსა და ყველა ფაკულტეტზე თვალსაჩინო ადგილას.

საფუძველი: სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №96/01.05.32009წ.

რექტორი, პროფესორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო
დარგში, პროფესორი ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი, პროფესორი ი.ლომრძე

სტუდენტთა თვითმმართველობის
პრეზიდენტი, თ.დუნდუა

სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი, ზ.მაისურაძე